ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№2.9.12/10/005

15 იანვარი 2018 წელი

ერთის მხრივ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა**, მდებარე: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. №1 (შემდგომში „შემსყიდველი"), რაიონის გამგებლის – **ირმა ზავრადაშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. "ოკრიბა"**, მდებარე: ფაქტიური მის:ქ. თბილისი, მუხიანის მ/რ კორპ. N16 ბ. N70 იურიდიული მის: ქ. თყიბული, ე. აფხაიძის ქ. N10 (შემდგომში „მიმწოდებელი"), ხელმძღვანელის **თემური ჩხიკვაძის** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი, ობიექტი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1.1.ხელშეკრულების საგანი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე ფოთის ქუჩა №15-ში მდებარე შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ"ქვეპუნქტის, იმავე წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობისათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (***SMP180000077)*** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 12 იანვრის №120 განკაგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2.ხელშეკრულების ობიექტია: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე ფოთის ქუჩა №15-ში მდებარე შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოები.

1.3.კლასიფიკატორის კოდი 45200000/45260000 გადახურვისა და სხვა სპეციალური საამშენებლო სამუშაოები.

1.4. ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში ყველა გადასახადის ჩათვლით

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **14778.11 (თოთხმეტი ათას შვიდასსამოცდათვრამეტი ლარი და 11 თეთრი) ლარს** ყველა გადასახადების ჩათვლით.

2.3. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების დეტალური აღწერა და მოცულობები თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. სამუშაოების შესრულების პირობები, ვადა და ადგილი

3.1. სამუშაოების მიწოდების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, 15 კალენდარული დღე - **2018 წლის 31 იანვრამდე, ხოლო შესრულებული სამუშაოების დოკუმენტალური ექსპერტიზისათვის "მიმწოდებელს" განესაზღვროს ვადა სამუშაოების მიწოდების ვადიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღე.**

3.2. მიმწოდებებლი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3. მიმწოდებებლმა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარულ დღეში უნდა წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი და შეათანხმოს შემსყიდველთან.

3.4. მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ფოთის ქ. №15.

3.5. სამუშაოების შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნები.
3.6. ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს) ფაქტიურად შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 4.3 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი და ამ აქტის საფუძველზე უნდა გაფორმდეს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება.
3.7 მიმწოდებელმა ობიექტზე უნდა განათავსოს მინიმუმ ერთი საინფორმაციო დაფა (100სმ/80სმ) შემსყიდველის მიერ გადაცემული ესკიზის შესაბამისად.
3.8 თუ კი სამუშაოების უსაფთხო წარმოებისთვის საჭიროა შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული, უსაფრთხოების სქემით სამუშაოების წარმოება, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად დაიცვას შეთანხმებული სქემით განსაზღვრული პერიმეტრი შესაბამისი მარეგულირებელი ნიშნებით.
3.9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული პირები.
3.10. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
3.11. სამუშაოს დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
4.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ დიდუბის რაიონის გამგეობის **თანამშრომელ(ებ)ი:**

- **ამირან კოხოძე.**
- **გიორგი ბარათაშვილი**

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:
ბ) დიდუბის რაიონის გამგეობის თანამშრომლები:

- **ამირან ბილიხოძე.**
- **ზვიად გვაზავა**

ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას **ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.**
4.3. შესრულებული სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი პერიოდულად ახორციელებს ინსპექტირებას, რაზეც წინასწარ ატყობინებს მიმწოდებელს. ინსპექტირების შედეგები აისახება შესაბამის ოქმში.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი, კერძოდ:

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით. მათ შორის: აწარმოოს ხარისხის კონტროლი, გამოსაყენებელი მასალების ლაბორატორიული გამოცდები და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ტექნიკური ზედამხედველობის გამახორციელებელ პირს გამოყენებული მასალა-ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ლაბორატორიული დასკვნები,სერთიფიკატები და სხვა).

მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.
4.5. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მასთან, შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება დადასტურებული ფორმა №2-ით (შესრულებული სამუშაოების აქტი) განსაზღვრული სამუშაოს დასრულების თარიღი.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების ღირებულების (ერთეულის ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ. (ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი, სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვაში ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში) (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად).

5.3. იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებებლია შეიცვალოს (დაზუსტდეს) აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 4.2. პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი შეთანხმების აქტი.

5.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.5 მიმწოდებელი ეტაპობრივად ჩააბარებს შემსყიდველს შესრულებულ სამუშაოებს. მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) დასრულების შემდეგ შემსყიდველის მიერ შერჩეული საექსპორტო ჯგუფი – **ა.ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“** განახორციელებს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტეპის) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების შემოწმებას. სამუშაოების ეტაპობრივი მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს საექსპერტო ჯგუფის **ა.(ა)ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“-ს** - მიერ და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით. სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური პირობებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

5.6. საექსპერტო ჯგუფის **ა.(ა)ი.პ. „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია“** -ს – მიერ შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპი) რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების დროს დეფექტების ან ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსყიდველი ოპერატიულად ,წერილობითი სახით, აცნობებს მიმწოდებელს შემოწმების შედეგებს – დაწუნებული სამუშაოს და წუნდების მიზეზებს.

6. ხარისხის გარანტია

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს **5 (ხუთი) წელს** დაწყებული სამუშაოების დამთავრებიდან (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან).

6.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი მიმართვის შემდეგ შემსყიდველის მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა, ასევევ აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზრაურება.

6.3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორება

7.1.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ფორმა №2 და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, საბოლოო ანგარიშსწორებისათვის კი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.3.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ფორმა №2-ის და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს **10 (ათი)სამუშაო** დღის განმავლობაში.

7.4 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, „შემსყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

7.5 ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ. შესაძლებელია ასევე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხიდან მოხდეს საჯარიმო სანქციის თანხის დაკავება ბიუჯეტის სასარგებლოდ.

7.6. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.7. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 **შემსყიდველი ვალდებულია:**

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.3. **შემსყიდველს უფლება აქვს:**

8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

8.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

8.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.2.სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

8.4.3. გააფორმოს საერთო და სპეც. სამუშაოთა წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;

8.4.4. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.4.5. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

8.4.6. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4.7. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

8.4.8. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

8.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ **5 წლის** განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

8.5. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის არაჯეროვნად შესრულების ან.და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევასი (გარდა შესრულების ვადის და წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევისა) მიმწოდებებლს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.3. ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 2 (ორი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებებლს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.4. ინსპექტირებისას სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის (გარდა საბოლოო მიწოდების ვადის გადაცილებისა)ჩამორჩენის დაფიქსირების შემთხვევაში მიმწოდებებლს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.5. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს დასრულების ვადის და წერილობით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრის გონივრული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს

დაეკისრება პირგასამტეხელოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
9.6. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისთვის პირგასამტეხელოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.7 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.8 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნეს მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარულ დღეში.
9.9 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.
10.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1.სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით:

1. "ფორს-მაჟორული“ სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში; .
2. გაუთვალისწინებლად ცუდი კლიმატური პირობების შემთხვევაში;

12. ღირებულება

12.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელსეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
12.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუსვებებლია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებებლია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
12.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. სადაო საკითხები

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი – მიმწოდებელი - მესამე პირი).

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.6 ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

14.7 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

14.8 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის ან/და ელექტრონული ფორმით, რომელსაც ხელშეკრულების მიზნებისათვის ენიჭება ოფიციალური შეტყობინების სტატუსი. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა/მიწოდება ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე ან/და ელფოსტაზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული ან მოხდა მისი ცვლილება, რის შესახებაც არ შეიძლებოდა სცოდნოდა მეორე მხარეს, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე ან/და ელ.ფოსტაზე გაგზავნის მომდევნო დღიდან.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობა ს/კოდი: 202171167	**შპს “ოკრიბა”**
	ს/კ 419618532
მის: აკაკი ბელიაშვილის ქ. №1	მის: ქ.თბილისი, მუხიანის I მ/რ, კორპ. N16 ბ. N70
ქ.თბილისის,”სახელმწიფო ხაზინა”	სს“ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22
ბანკის კოდი TRESGE22	ა/ა №GE34LB0113140545996000
ა/ა №GE24NB0330100200165022	ელ.მისამართი: ltd.okriba@gmail.com
	ტელ.ნომერი 557 51 33 22
	557 50 40 10
ი. ზავრადაშვილი	**თ. ჩხიკვაძე**

ხელწერილი

15 იანვარი 2018 წელი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის "15" იანვარს გაფორმებული №2.9.12/10/005 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე ფოთის ქ.№15-ში მდებარე შენობის დაზიანებული სახურავის შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

რაიონის გამგებელი — ი. ზავრადაშვილი

გამგეობის პროვაიდერების ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების მთ.სპეციალისტი — ზ. გვაზავა

გამგეობის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროექტირების განყოფილების მთ.სპეციალისტი — ა. კოხოძე

გამგეობის შტატგარეშე თანამშრომელი — გ. ბარათაშვილი

გამგეობის შტატგარეშე თანამშრომელი — ა. ბილიხოძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
დიდუბის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
DIDUBE DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **32-01180151077**

თარიღი: **15.01.2018**

ადრესატი:
ირმა ზავრადაშვილი
დიდუბის რაიონის გამგეობა - გამგებელი

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ირმა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 05 იანვარს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგეობამ ფოთის ქ. N 15-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული შენობის სახურავის გადაუდებელი აუცილებლობით შეკეთების სამუშაოების ჩასატარებლად (სავარაუდო ღირებულებით 16143,10 ლარი) შერჩევის მიზნით მიმართა ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების მქონე სამ კომპანიას, კერძოდ: შ.პ.ს. „ოვალი"-ს, შ.პ.ს. „პატაშა"-ს და შ.პ.ს. „ოკრიბა"-ს. კომპანიებს გადაეგზავნათ შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი, (დეფექტური აქტი) შესრულების ვადები და მოეთხოვა ანალოგიური შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ორმა კომპანიამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტაცია, კერძოდ: შ.პ.ს. „ოვალი"-წარმოადგინა 17182,64 ლარის ღირებულების ხარჯთაღრიცხვა, შ.პ.ს. „ოკრიბა"-14778,11 ლარი, ხოლო შ.პ.ს. „პატაშა"-მ საერთოდ არ წარმოადგინა არავითარი დოკუმენტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ხელშეკრულება გაფორმდეს შ.პ.ს. „ოკრიბა"-სთან 14778,11 ლარის ღირებულების სამუშაოებზე.

სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღით ხოლო, შესრულებული სამუშაოების დოკუმენტალური ექსპერტიზისათვის კომპანიას განესაზღვროს ვადა სამუშაოების მიწოდების ვადიდან 10 კალენდარული დღით.

გთხოვთ განიხილოთ და დაავალოთ გამგეობის შესყიდვების ჯგუფს მოამზადოს მასალები ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მოხსენებით ბარათს თან ერთვის კომპანიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

დიდუბის რაიონის გამგეობა -
ინფრასტრუქტურული პროექტების
მართვისა და პროექტების განყოფილება -
მთავარი სპეციალისტი

ამირან კოხოძე

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080159485070718

 # 120 **12 / იანვარი / 2018 წ.**

ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 10 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის SMP180000077 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე, ფოთის ქუჩა № 15 - ში მდებარე ხანძრის შედეგად დაზიანებული შენობის სახურავის შეკეთების სამუშაოების (CPV- 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2018 წლის პირველ იანვარს, ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე, ფოთის ქუჩა №15 - ში მომხდარი ხანძრის შედეგად დაზიანდა საცხოვრებელი სახლის სახურავი.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია ხანძარმა, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს, კერძოდ, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ვინაიდან, შენობის ჭერიდან და კედლებიდან ცვივა კონსტრუქციის ნაშალი ფრაგმენტები, რის გამოც, მოსალოდნელია მისი ჩამონგრევა. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია ხანძარმა, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებს, კერძოდ, მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ვინაიდან, შენობის ჭერიდან და კედლებიდან ცვივა კონსტრუქციის ნაშალი ფრაგმენტები, რის გამოც, მოსალოდნელია მისი ჩამონგრევა. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობის SMP180000077 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

ფოთის ქ. N15-ში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის ქანობიანი სახურავის შეკეთების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

N	სამუშაოების და ხარჯების დასახელება	ერთეულის განზომ	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთეულ.	სულ	ერთეულ.	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	სახურავის ფენილის დემონტაჟი	კვ.მ	192			0,8	153,60	153,60
2	საწვიმარი ღარის და პარაპეტის კეხის სამერცხლების ფართუკის დემონტაჟი	კვ.მ	100			0,8	80,00	80,00
3	დაზიანებული ხის კარკასის (ფიცარი, ლარტყა, დგარი, ნივნივა და სხვა) დემონტაჟი	კუბ.მ	4,54			25	113,60	113,60
4	დემონტირებული მასალების და სამშენებლო ნარჩენების ჩამოტანა	ტ	4			20	80,00	80,00
5	სამშენებლო მასალის ატანა კორპუსის სახურავზე	ტ	4,5			35	157,50	157,50
6	ხის კარკასის მოწყობა სახურავის ქვეშ (დგარი, ირიბანა, ნივნივა, ფიცარი და სხვა)	კუბ.მ	4,54			70	318,07	318,07
	ხის მასალა ლარტყა (ფიცარი) (0,03*0,15*635)* კ1,05	კუბ.მ	3,00	510	1530,19			1530,19
	ხის მასალა კოჭა (0,07*0,14*150)* კ1,05	კუბ.მ	1,54	530	818,06		0,00	818,06
	ლურსმანდი საშვალო 7,2	კგ	32,72	2,6	85,06			85,06
7	ლითონის ნაჭედი კავები 10 სმ იანი	ცალი	70,00	2	140,00			140,00
8	გამომწვარი გლინულა	კგ	10,00	3,2	32,00			32,00
10	სახურავის ფენილის მოწყობა გოფრირებული (პროფილირებული) ფერადი თუნუქით, (0,5 მმ)	კვ.მ	192		0,00	5	960,00	960,00

	გოფრირებული ფერადი თუნუქი კოეფ-1.2	კვ.მ	230,4	11	2534,40		0,00	2534,40
	სჭვალი თვითმჭრელი კ 6	ცალი	1382	0,082	113,36		0,00	113,36
12	კეხის დამზადება და მოწყობა	გრ.მ	22			5	110,00	110,00
	ფერადი თუნუქით კეხისათვის 0,31*1,15*22	გრ.მ	7,843	9,7			0,00	0,00
11	**პარაპეტის დაფარვა ბრტყელი ფერადი თუნუქით**	**გ/მ**	**38,00**		0,00	5,00	190,00	190,00
	თუნუქი ფერადი 0,62*37*1,15	მ2	27,09	9,70	262,81		0,00	262,81
	სჭვალი თვითმჭრელი გრ კ 6	ცალი	228	0,082	18,70		0,00	18,70
10	**ჟოლობების მოწყობა ბრტყელი თუნუქით**	**კვ.მ**	**44,00**		0,00	7,50	330,00	330,00
	თუნუქი ფერადი 1,20	კვმ	52,80	9,70	512,16		0,00	512,16
	სჭვალი თვითმჭრელი კ 6	ცალი	264	0,082	21,65		0,00	21,65
16	სამერცხლეების და საბუხრების შეფუთვაფერადი თუნუქით	კვ.მ	6			7,5	45,00	45,00
	თუნუქი ფერადი 6*1,20	კვ.მ	7,2	9,70				69,84
	სჭვალა თვითმჭრელი კეხისათვის 6ცალი	ცალი	36	0,082				2,95
	ფართუკის მოწყობა ფერადი თუნუქით	კვმ	18			7,5	135,00	135,00
	ფერადი თუნუქი კ1,15	კვ	21	9,700	200,79			200,79
	სჭვალი თვითმჭრელი კ 6	ცალი	108	0,082	8,86		0,00	8,86
17	ახალი ხის მასალაზე ცეცხლამძლე სითხის წასმა ხის მასალაზე (150,42)+(635*0,36)=744 კვ ანტისეპტიკი	კვ.მ	291		0,00	1	291,00	291,00
	ანტისეპტიკის სითხე ხეზე წასასმელი 0,30	კგ	87	5,00	436,50			436,50
18	სამშენებლო ნარჩენების დატვირთვა ა/მანქანაზე	ტ	4		0,00	15	60,00	60,00
19	სამშენებლო ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე	ს.გეზი	1		0,00	40	40,00	40,00

	ჯ ა მ ი				6714,53		3063,77	9851,09
	სამშენებლო მასალის მიტანა დანიშნულების ადგილზე	3%			201,44			201,44
	ჯამი	ლარი						10052,52
	ზედნადები ხარჯი	10%						985,11
	ჯ ა მ ი	ლარი						11037,63
	გეგმიური დაგროვება	8%						883,01
	ჯ ა მ ი	ლარი						11920,64
	გაუთვალისწინებრლი ხარჯი	3%						357,62
	ჯამი	ლარი						12278,26
	დ.ღ.გ	18%						2210,09
	ჯამი	ლარი						14488,35
	სამუშაოს შესრულების დოკუმენტალური ექსპერტიზა	2%						289,77
	ს უ ლ	ლარი						14778,11

"მიმწოდებელი"

შ.პ.ს "ოკრიბა"

დირექტორი: *თემური ჩხიკვაძე*

"შემსყიდველი"

დიდუბის რაიონის გამგეობა

ზურაბ უგულავა